

კვირის მიმოხილვა

9 მარტი 2020 – 15 მარტი 2020

საქართველო

2019 წლის პირველ 9 თვეში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) 15.9%-იანი კლების შემდეგ, მე-4 კვარტალში FDI გაორმაგდა და 347 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. შედეგად, 2019 წელს წინა წელთან შედარებით მისი მოცულობა უცვლელი დარჩა. წინასწარი შეფასებით, 2019 წელს საქართველოში FDI-ის შემოდინების წილმა მშპ-ის 7.2% შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებლის ანალოგიური სიდიდეა. 2019 წლის მე-4 კვარტალში FDI-ის მკვეთრი ზრდა ძირითადად შემოსავლების რეინვესტირების (წ/წ 7.2-ჯერ ზრდა) ხარჯზე მოხდა. ამასთან, გასულ კვარტალში ზრდას ხელი შეუწყო FDI-ისთან დაკავშირებული სავალო ვალდებულებების მატებამაც, ხოლო სააქციო კაპიტალის შემოდინება წ/წ 6.8%-ით შემცირდა.

2019 წლის მე-4 კვარტალში ევროკავშირიდან ინვესტიციების მოცულობა წ/წ 278%-ით გაიზარდა და 205 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აღნიშნულ კვარტალში FDI-ის ჯამური შემოდინების 60% იყო. ჯამურ შემოდინებებში აგრეთვე აღსანიშნავია თურქეთისა (+82.0 აშშ დოლარი წ/წ) და ისრაელის (+14.0 აშშ დოლარი წ/წ) წვლილი. სექტორულ ჭრილში კი ზრდა შეინიშნებოდა საფინანსო, მშენებლობის, ენერჯეტიკის, კავშირგაბმულობისა და სამთომომპოვებითი მრეწველობის სექტორებში, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის შემოდინებები ყველაზე მეტად შემცირდა.


საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოდან საქონლის ექსპორტი 2020 წლის თებერვალში უმნიშვნელოდ, წ/წ 0.5%-ით შემცირდა და 263.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, იმპორტის ზრდამ გასულ თვეში წ/წ 8.6% შეადგინა. შესაბამისად, 2020 წლის თებერვალში სავაჭრო ბალანსი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუარესდა. ბოლო 12 თვის განმავლობაში, ექსპორტის წ/წ 11.0%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის წ/წ უცვლელი დარჩა. შედეგად, სავაჭრო ბალანსი წ/წ 6.6%-ით გაუმჯობესდა.

2020 წლის თებერვალში არარეზიდენტების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების წილი თ/თ 1.6 პპ-ით გაიზარდა და 15.5%-ს მიაღწია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ჯამურმა ნომინალურმა ღირებულებამ, 2019 წლის 29 თებერვლისთვის 623.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის იანვრის ბოლოსთვის არსებულ მაჩვენებელს 85.9 მლნ ლარით აღემატება. ლარსა და აშშ დოლარს შორის საპროცენტო დიფერენციალი დოლარში დაბალი განაკვეთების გამო გაიზარდა. მიუხედავად ამისა, COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებულმა რისკებმა შესაძლოა შეამციროს მოთხოვნა განვითარებადი ქვეყნების ფასიანი ქაღალდებზე.

მიმდინარე კვირის ანონსი:


- 16 მარტი - ფულადი გზავნილები, თებერვალი 2020;
- 16 მარტი - ადგილობრივი ტურიზმი, 2019
- 17 მარტი - დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, 2019 წლის IV კვარტალი;
- 18 მარტი - მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრა;
- 20 მარტი - მთლიანი შიდა პროდუქტი, წინასწარი მონაცემები, 2019;
- 20 მარტი - მწარმოებელთა, იმპორტის და ექსპორტის ფასები, თებერვალი 2020.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში, % ობლიგაციების შემოსავლიანობა



წყარო: საქსტატი

10-წლიანი აშშ ობლიგაციების შემოსავლიანობა და არარეზიდენტთა წილი საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელობაში, %



— არარეზიდენტთა წილი საქართველოს ფასიანი ქაღალდების მფლობელობაში
— 10-წლიანი აშშ ობლიგაციის განაკვეთი
— ლარის პოლიტიკის განაკვეთი

წყარო: სტბ; ავტორთა გამოთვლები

კაპიტალის ბაზარი

ლონდონის საფონდო ბირჟის პარასკევის სავაჭრო სესიაზე, **თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)** აქციები 11.06 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგზე, შინა კვირის მაჩვენებელზე 6.9%-ით დაბალ ნიშნულზე დაიხურა. კვირის განმავლობაში ვაჭრობის მოცულობა კი 936.0 ათას აქციას გაუტოლდა.

ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასულ კვირაში **საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN)** 771.6 ათასი აქცია ივაჭრა, დახურვის ფასმა კი 12.30 ბრიტანული ფუნტი სტერლინგი (-21.4% კვ/კვ) შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები გასულ პარასკევს 0.86 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგზე, ერთი კვირით ადრინდელთან შედარებით 20.8%-ით დაბალ ნიშნულზე დაიხურა, ვაჭრობის მოცულობამ კი კვირის განმავლობაში 267.4 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალის (CGEO LN) აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასულ პარასკევს 5.63 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგზე (-18.8% კვ/კვ) დაიხურა, ვაჭრობის მოცულობამ კი 213.0 ათასი შეადგინა.

Performance of London listed Georgian companies

Name	Ccy	Volume ('000)	M cap, mn	Price	Change			Multiples		
					1W	YTD	52W	12T P/E	12F P/E	P/B
TBC Bank Group PLC	GBP	936.0	719	11.06	-6.9%	-18.5%	-35.4%	4.06x	3.44x	0.83x
Bank of Georgia Group PLC	GBP	7716	665	12.30	-21.4%	-32.3%	-35.7%	3.96x	3.3x	0.97x
Georgia Capital PLC	GBP	213.0	247	5.63	-18.8%	-45.8%	-52.4%	-	-	0.58x
Georgia Healthcare Group PLC	GBP	267.4	130	0.86	-20.8%	-35.0%	-60.0%	9.18x	4.68x	0.74x
FTSE 100	-	-	-	-	-14.3%	-32.2%	-29.2%	14.66x	-	125x
FTSE 250	-	-	-	-	-18.7%	-34.8%	-26.8%	17.24x	-	118x

Source: Bloomberg

Georgian eurobond performance

Name	Ccy	Coupon	Size (mn)	Yield	Yield change (BPs)			Key parameters		
					1W	YTD	52W	S&P/Fitch/ Moody's/Sco	Maturity	Z-Spread bps
Georgia Sovereign	USD	6.875	500	5.23	188.7	280.2	122.3	BB/BB/Ba2/BB	12-Apr-21	474.2
Georgian Railway	USD	7.750	500	4.98	120.6	137.7	(35.6)	B+/BB-/-/--	11-Jul-22	451.5
Georgian Oil & Gas corp	USD	6.750	250	6.68	312.3	346.8	161.5	BB-/BB-/-/--	26-Apr-21	619.5
Bank of Georgia	USD	6.000	350	4.09	2.7	(20)	(196)	--/BB-/Ba2/--	26-Jul-23	357.0
Georgia Capital	USD	6.125	300	6.97	45.5	45	(73)	B+/-/B2/--	9-Mar-24	640.2
Silknet	USD	11.000	200	8.18	10.2	46	-	-/B+/B1/-	2-Apr-24	761.6
TBC Bank	USD	5.750	300	5.69	63.1	83	-	--/BB-/Ba2/--	19-Jun-24	510.6
TBC Bank PERP	USD	10.775	125	10.31	50.4	33	-	--/B-/-/--	-	988.1
Bank of Georgia PERP	USD	11.125	100	9.72	96.5	92	-	--/B-/-/--	-	984.8

Source: Bloomberg

Sovereign eurobond performance

Name	Ccy	Coupon	Size (mn)	Yield	Yield change (BPs)			Key parameters		
					1W	YTD	52W	S&P/Fitch/ Moody's/Sco	Maturity	Z-Spread bps
Georgia	USD	6.88	500	5.23	188.7	280.2	122.3	BB/BB/Ba2/BB	12-Apr-21	474.2
Azerbaijan	USD	4.75	1250	5.51	185.2	257.4	146.9	--/BB+/Ba2u/--	18-Mar-24	494.4
Armenia	USD	3.95	500	4.78	51.3	73	-	--/BB-/Ba3/--	26-Sep-29	394.3
Turkey	USD	5.60	2,500	6.97	137.0	183	-	--/BB-/B1/BB-	14-Nov-24	636.4
Ukraine	USD	9.75	1,600	11.40	292.8	495.2	197.2	B/B-/-/--	1-Nov-28	1062.9
Kazakhstan	USD	5.13	2,500	2.77	34	46	(94)	BBB-/BBB/Baa3/--	21-Jul-25	212.0
Uzbekistan	USD	4.75	500	5.06	153.5	198	34	BB-/BB-/-/--	20-Feb-24	449.4
Russia	USD	4.38	3,000	3.77	66.2	83.3	(80.5)	--/BBB-/-/BBB	21-Mar-29	295.2
Belarus	USD	6.20	600	6.93	119.6	156.3	45.7	B/B/B3u/--	28-Feb-30	610.1
Turkey	EUR	5.20	1,500	6.05	115.5	241.6	128.6	--/BB-/B1/BB-	16-Feb-26	628.0
Ukraine	EUR	6.75	1,000	9.40	319.5	495	-	B/B-/-/--	20-Jun-26	962.9
Kazakhstan	EUR	0.60	500	1.36	58.6	74	-	BBB-/-/Baa3/--	30-Sep-26	154.7
Russia	EUR	3.63	750	0.56	53.9	100.0	56.1	BBB-/BBB/Baa3/BBB	16-Sep-20	96.83

Source: Bloomberg

Local corporate bond performance

Name	Ccy	Coupon	Size (mn)	Yield	Yield change (BPs)			Key parameters		
					1W	YTD	52W	S&P/Fitch/ Moody's/Sco	Maturity	Z-Spread bps
GeoBeer NBG+400 12/2023	GEL	13.00	25	na	-	-	-	--/--/BB	21-Dec-23	na
Silknet NBG+350 08/2022	GEL	12.00	34	na	-	-	-	--/B+/B1/-	18-Aug-22	na
Tegeta NBG+425 04/2022	GEL	13.25	30	na	-	-	-	--/B-/-/BB-	30-Apr-22	na
Crystal NBG+400 02/2021	GEL	13.00	15	na	-	-	-	--/B-/-/--	1-Feb-21	na
Nikora Trade NBG+400 08/2021	GEL	12.50	25	na	-	-	-	--/--/B+	6-Aug-21	na
Nikora TIBR3M+400 10/2022	GEL	12.74	28	na	-	-	-	--/--/--	18-Oct-22	na
GLC 7% 08/2020	USD	7.00	10	na	-	-	-	--/B+/-/--	29-Aug-20	na
GLC 6.5% 06/2021	USD	6.50	5	na	-	-	-	--/B+/-/--	22-Jun-21	na
GLC 7.5% 08/2021	USD	7.50	10	na	-	-	-	--/B+/-/--	9-Aug-21	na
Lisi 8% 12/2021	USD	8.00	12	8.00	-	-	-	--/--/B+	17-Dec-21	na
M2R 7.5% 10/2022	USD	7.50	35	7.00	-	-	-	--/--/--	7-Oct-22	na
M2C 7.5% 12/2021	USD	7.50	30	na	-	-	-	--/--/--	31-Dec-21	na
GWP NBG+350 12/2021	GEL	12.50	30	na	-	-	-	--/--/--	6-Dec-21	na
Evex NBG+310 11/2024	GEL	11.60	50	na	-	-	-	--/--/--	6-Nov-24	na
SwissCap NBG+625 09/2021	GEL	15.00	10	na	-	-	-	--/B-/-/--	13-Sep-21	na

Source: Bloomberg

თიბისი კაპიტალის კვლევების გუნდი**თორნიკე კორძაია, CFA**

კვლევების უფროსი
tkordzaia@tbccapital.ge | ext.6821

გივი ადღიშვილი

უფროსი ასოცირებული მკვლევარი
gadeishvili@tbccapital.ge | ext.8742

ანდრო თვალთვალი

ასოცირებული მკვლევარი
atvaliahvili@tbccapital.ge | ext.6058

ლუკა ჩიგილაშვილი

კვლევების ანალიტიკოსი
lichigilashvili@tbccapital.ge | ext.6070

დავითი ჟორჯოლიანი

კვლევების ანალიტიკოსი
dazhorzholiani@tbccapital.ge | ext.1295

საქართველო, თბილისი,
მარტანიშვილის ქ. 7, 0102
Tel: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733
Email: research@tbccapital.ge
Email: macro@tbcbank.com.ge
Web-page: www.tbccapital.ge
Web-page: www.tbcresearch.ge

თიბისი ბანკის ეკონომიკური გუნდი**ოთარ ნადარაია**

მთავარი ეკონომისტი
onadaraia@Tbcbank.com.ge |

ალექსანდრა ბლუაშვილი

მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილების უფროსი
ablushvili@Tbcbank.com.ge | ext.4188

ანა გვილია | სტაჟიორი |

agvilia@Tbcbank.com.ge

მინაილ მღებრიშვილი | სტაჟიორი |

mmgebrishvili@Tbcbank.com.ge

პასუხისმგებლობის უფუძვლის განაცხადი

რეპორტში მოცემული განაცხადები, ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - თიბისი კაპიტალის კვლევები გუნდის და თიბისი ბანკის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს თიბისი კაპიტალის, თიბისი ჯგუფის ოფიციალურ ხედვას, მოსაზრებას ან პოზიციას. რეპორტში მოცემული ინფორმაცია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებს ემსახურება და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, თუმცა ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე არ არის გარანტირებული. ეს რეპორტი არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზებას ნებისმიერი შესაბამისი კანონმდებლობის ქვეშ ან/და ნებისმიერ ფასიანი ქაღალდის და ფინანსური ინსტრუმენტის გაყიდვის/შეთავაზების მცდელობას ან/და რეკომენდაციას მსგავს ფასიან ქაღალდებთან ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ეს რეპორტი შესაძლოა მოიცავდეს პროგნოზის შემცველ განაცხადებს; მსგავსი პროგნოზის შემცველი განაცხადები მოიცავენ ნაცნობ და უცნობ რისკებს, გაურკვევლობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. არცერთი ამ რეპორტში მოცემული პროგნოზი, მოლოდინები, გათვლები არ უნდა იყოს აღქმული როგორც პროგნოზი ან დაპირება, ასევე არ უნდა იყოს აღქმული როგორც ნებისმიერი მინიშნება, რწმუნება ან გარანტია რომ დაშვებები, რომლებსაც მოცემული პროგნოზები, მოლოდინები ან გათვლები ემყარება არის ზუსტი და ამომწურავი, ან დაშვებების შემთხვევაში რომ რეპორტი მოიცავს ყველა დაშვებას. არც თიბისი ჯგუფი, არც თიბისი კაპიტალი და არც მოცემული რეპორტის ავტორები არ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დანაკარგის, რომელიც წარმოიშობა ამ რეპორტის ან მისი შემადგენელი ნაწილების ან რეპორტის ნებისმიერი კავშირის გამოყენების შემთხვევაში. რეპორტი დაცულია საავტორო უფლებებით და მისი არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს აღდგენილი, თავიდან გამოქვეყნებული ან/და განაწილებული. ყველა უფლება დაცულია.